ხელშეკრულება №71
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

შესყიდვის განხორციელების მიზნით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 [1] მუხლის მესამე პუნქტის ,,დ" ქვეპუნტისა და 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტისა და 2017 წლის 27 დეკემბრის N2685 მთავრობის განკარგულების შესაბამისად,
(SMP170003008; CPV 32420000 - ქსელური მოწყობილობები;)

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია „27" 12 2017 წ. თბილისი.

ერთი მხრივ, **სახელმწიფო აუდიტის სამსახური,** წარმოდგენილი გენერალური აუდიტორის მოადგილის დავით გოგიჩაიშვილის სახით (შემდგომში შემსყიდველი)
მისამართი: ქ. თბილისი, წმიდა ქეთევან დედოფლის გამზირი №96
საიდენტიფიკაციო კოდი: 202051956
ბანკის დასახელება: ქ. თბილისი, ,,სახელმწიფო ხაზინა"
ბანკის კოდი: TRESGE22;
ანგარიშსწორების ანგარიში: GE24NB0330100200165022

და მეორეს მხრივ, **შპს ,,ორიენტ ლოჯიკი",** წარმოდგენილი მისი კომერციული დირექტორის ალან სანაკოევის სახით, (შემდგომში მიმწოდებელი),
იურიდიული მისამართი: თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, დ.აღმაშენებლის გამზ. №91ა
საიდენტიფიკაციო კოდი: 202052054
საბანკო რეკვიზიტები: სს ,,საქართველოს ბანკი", კოდი BAGAGE22, ა/ა GE77BG0000000341026301
შორის

მუხლი 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში _ „ხელშეკრულება") _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3. „დღე", „კვირა", „თვე" _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

მუხლი 2 ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტია დანართი N1-ით გათვალისწინებული საქონლისა და მისი მხარდაჭერის სერვისის (3 წლიანი) შესყიდვა (შემდგომში საქონელი).

მუხლი 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს: **57870 (ორმოცდაჩვიდმეტიათასრვაასსამოცდაათი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.**
3.2. შესყიდვის ობიქტის ერთეულის ღირებულება განსაზღვრულია დანართი N1-ით.
3.3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს.

მუხლი 4. საქონლის მოწოდების ვადები და ადგილი

საქონლის მოწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან **2 დღის ვადაში,** შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი №96.

მუხლი 5. საქონლის ხარისხი და გარანტია

5.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მოწოდებული საქონელი იქნება ხარისხიანი, შემსყიდველის მოთხოვნისა და დანართი N1-ით გათვალისწინებული ტექნიკური პარამეტრის შესაბამისი.

5.2 საგარანტიო ვადა შეადგენს 3 წელს, რომლის ვადის ათვლა იწყება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან

5.3 ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს წუნდებული საქონლის, ან მისი ნაწილის შეკეთება ან შეცვლა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

5.3. მიმწოდებლის მიერ 5.3 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები წარმოშობილი ხარვეზების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება.

მუხლი 6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელონ კონტროლი (ინსპექტირება) მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, მათ შორის მომსახურების ხარისხის პერიოდული ინსპექტირება.

6.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

მუხლი 7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება, შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

7.2. მომსახურება, ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეთა მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

7.3. მომსახურების (მისი ნაწილის) მიღების შემდეგ ან/და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

7.4. შემსყიდველი ვალდებულია დროულად აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული მომსახურების წუნდების მიზეზის მითითებით.

მუხლი 8. ანგარიშსწორება

8.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება საქონლის, ან მისი ნაწილის მიწოდების შემდეგ 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების, მიმწოდებლის მიერ სასაქონლი ზედნადების ან/და ანგარიშფაქტურის წარდგენის საფუძველზე.

8.2. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

8.3. ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

8.4. სახელმწიფო შესყიდვის დაფინანსების წყაროა: სახელმწიფო ბიუჯეტი;

8.5. საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

მუხლი 9. ფასები

9.1. ხელშეკრულებაში განსაზღვრული ფასის ცვლილება დასაშვებია მხოლოდ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში (დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 %-ზე მეტი ოდენობით გაზრდა).

9.2. ფასების ცვლილების შესახებ ხელშეკრულების მხარემ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით, რომელიც თავის მხრივ უფლებამოსილია არ დაეთანხმოს აღნიშნულ ცვლილებას.

მუხლი 10. ფორსმაჟორი

10.1. ხელშეკრულების, რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ განიხილება ხელშეკრულების პირობების დარღვევად თუ შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორსმაჟორული გარემოებების შედეგი;

10.2. ამ ხელშრეკრულების მიზნებისათვის ფორსმაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან მხარეების შეცდომებთან და დაუდევრობებთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.ასეთი გარემოება ასევე შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, ეპიდემიით ან სხვა სტიქიური უბედურებით;

10.3. ფორსმაჟორული გარემოების დადგომის შემთხვევაში მხარემ, რომლისათვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს დოკუმენტურად დასაბუთებული წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ,.

10.4. წინამდებარე ხელშეკრულების 10.3. პუნქტით გათვალისწინებული გარემოების დადგომისას მხარეები უფლებამოსილნი არიან ხელშეკრულების შესაბამისად, შეცვალონ ან შეწყვიტონ ხელშეკრულების პირობები, სრულად შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება,

მუხლი 11. მხარეთა ურთიერთობა

11.1. ნებისმიერი ოფიციალური შეტყობინება მხარეთა შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას (მათ შორის ელექრონული ფორმით);

11.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, ამ თარიღიდან რომელიც უფრო გვიან დგება.

მუხლი 12. მხარეთა უფლება–მოვალეობები.

12.1. შემსყიდველს უფლება აქვს მიიღოს მიმწოდებლის მიერ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება;

12.2. შემსყიდველი ვალდებულია გადაუხადოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

12.3. მიმწოდებელი ვალდებულია ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას განახორციელოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა;

12.4. მიმწოდებელს უფლება აქვს გაწეული მომსახურების სანაცვლოდ მიიღოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფასი.

მუხლი 13. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

13.1. მხარეები პასუხს აგებენ ერთმანეთის წინაშე მათ მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის ან არაჯეროვნად შესრულებისთვის;

13.2. თუ ერთ–ერთი მხარე არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას, მეორე მხარე წერილობითი ფორმით აფრთხილებს მას შეასრულოს ხელშეკრულების პირობები;

13.3. ხელშეკრულების ერთი მხარის მიერ ვალდებულებების კვლავ შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მეორე მხარეს, შესაბამისი გაფრთხილების გაგზავნისა და დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ, უფლება აქვს ცალმხრივად ვადამდე შეწყვიტოს ხელშეკრულება.

13.4 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში (მათ შორის, ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების დროს), მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით;

13.5. ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო - შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 5%-ის ოდენობით.

13.6 შემსყიდველი პასუხისმგებლობას კისრულობს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევისათვის, პირგასამტეხლოს სახით მიმწოდებელს გადაუხადოს ვადაგადაცილებული თანხის 0.02% პროცენტი.

13.7 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 14. გადასახადები და ბაჟები

მიმწოდებელი პასუხს აგებს მომსახურების განხორციელებასთან დაკავშირებულ ყველა იმ გადასახადის, დაბეგვრის თანხის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 15. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადები

ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

მუხლი 16. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

16.1. არანაირი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორების გარდა.

16.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

მუხლი 17. ხელშეკრულების შეწყვეტა

17.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა წერილობითი შეთანხმებით;

ბ) ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო;

გ) მიმწოდებლის მიერ მომსახურების გაწევის ვადების 10 დღით დარღვევის შემთხვევაში (ცალმხრივად შეწყვეტის საფუძველი),

დ) 13.4. და 13.5 პუნქტებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრების შემთხვევაში შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვის მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

17.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 18. დავათა განხილვის წესი

მხარეები შეეცდებიან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე გადაჭრან წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წამოჭრილი დავები. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა განიხილება სასამართლოს მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 19. დამატებითი პირობები

19.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან ვალდებულებანი გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირებს.

19.2 შემსყიდველი უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად დადგენილი პირობებით, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავის ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან სხვა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

19.3 მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელიც არ იქნა რეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

19.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ თანაბარ იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად (ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელს, ერთი ეგზემპლარი შემსყიდველს).

მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

მხარეთა ხელმოწერები:

შემსყიდველის მხრიდან:	მიმწოდებლის მხრიდან:
დავით გოგიჩაიშვილი _____	**ალან სანაკოევი** _____
გენერალური აუდიტორის მოადგილე	კომერციული დირექტორი
ბ.ა.	ბ.ა.

27.12.....2017 წლის N.....71..... ხელშეკრულების

დანართი N1

N	დასახელება	პროდუქტი/ სპეციპიკაცია	რაოდენობა	ერთეულის ფასი	მთლიანი ღირებულება
1	ქსელური უსაფრთხოების მოწყობილობა (firewall)	BNGIF400a / Barracuda NextGen Firewall F 400	2	19105	38210
2	3 წლიანი მხარდაჭერის სერვისი	BNGIF400a –e3 / Barracuda NextGen Firewall F 400 3 Year EU	2	9830	19660

სულ: 57870 ლარი დღგ-ს ჩათვლით

შემსყიდველის მხრიდან:

დავით გოგიჩაიშვილი _____

გენერალური აუდიტორის მოადგილე

ბ.ა.

მიმწოდებლის მხრიდან:

ალან სანაკოევი _____

კომერციული დირექტორი

ბ.ა.

სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080140328749817

 # 3456

20 / დეკემბერი / 2017 წ.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე

აღწერილობითი ნაწილი

1. ინფორმაცია მომართვის თაობაზე

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში (შემდგომში – სააგენტო) 2017 წლის 18 დეკემბერს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის SMP170003008 მომართვა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

2. შესყიდვის ობიექტი და მისი ღირებულება

მომართვის მიხედვით, შესყიდვის ობიექტია ქსელური უსაფრთხოების მოწყობილობის (Firewall), უსაფრთხოების ინფორმაციისა და მოვლენების მართვის (SIEM) სისტემის (CPV 32400000 - ქსელები, 48200000 - ქსელების, ინტერნეტისა და ინტრანეტის პროგრამული პაკეტები) შესყიდვა, ღირებულებით - 157170 ლარი.

3. შემსყიდველი ორგანიზაციის დასაბუთება

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ, მისთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, აუდიტორული საქმიანობის განხორციელებისას დამუშავებული ინფორმაცია, მათ შორის კონფიდენციალური, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ინახება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ინფორმაციულ სისტემებში, რომელთა მდგრადი, საიმედო და შეუფერხებელი ფუნქციონირება არსებითად მნიშვნელოვანია აღნიშნული ინფორმაციის დაცულობის უზრუნველყოფისათვის. გამომდინარე აქედან, სამსახურის კიბერუსაფთხოებისა და ინფორმაციული უსაფრთხოების სისტემების მდგრადი, საიმედო და შეუფერხებელი ფუნქციონირება წარმოადგენს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პრიორიტეტსა და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხს.

როგორც მომართვიდან ირკვევა, მიმდინარე თვის დასაწყისში, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ინფორმაციულ სისტემებში გამოვლინდა მავნე კოდის გავრცელების ფაქტები, რამაც გამოკვეთა ინფორმაციული უსაფრთხოების მიმართულებით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელების კრიტიკული აუცილებლობა. უსაფრთხოების

სისტემების დაუყოვნებლივ გაუმჯობესების გარეშე, არსებობს მნიშვნელოვანი რისკი, რომ უკვე დაფიქსირებული უსაფრთხოების ინციდენტების განმეორების შემთხვევაში, ზიანი მიადგეს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ინფორმაციულ აქტივებს. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, შესყიდვის ელექტრონული პროცედურების დაცვით სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების შემთხვევაში, შესასყიდი საქონლის მიწოდებისათვის საჭირო ვადებიდან გამომდინარე, არსებობს რისკი იმისა, რომ დადგენილ ვადაში ვერ მოხდეს მითითებული შედეგის მიღება, რადგან მნიშვნელოვნად იზრდება საჭირო უსაფრთხოების სისტემების დანერგვის დრო. აღნიშნულიდან გამომდინარე, შემსყიდველ ორგანიზაციას მიზანშეწონილად მიაჩნია, მოცემული საქონლის შესყიდვა განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

4. დაინტერესებული პირ(ებ)ის მოსაზრება

საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს სისტემის SMP მოდულში მოსაზრება არ გამოუხატავთ.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს.

6. სააგენტოს შეფასება

როგორც წარმოდგენილი მომართვიდან ირკვევა, შესყიდვის ობიექტია ქსელური უსაფრთხოების მოწყობილობის (Firewall), უსაფრთხოების ინფორმაციისა და მოვლენების მართვის (SIEM) სისტემის შესყიდვა.

ამასთან, მოცემული შესყიდვის განხორციელების მიზნით, შესყიდვის ობიექტის შესასყიდად შესყიდვის ელექტრონული პროცედურების გამოყენება, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად, შესასყიდი საქონლის მიწოდებისათვის საჭირო ვადებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილი არ არის, რადგან შესყიდვის ელექტრონული პროცედურების დაცვით სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების შემთხვევაში, მნიშვნელოვნად იზრდება საჭირო უსაფრთხოების სისტემების დანერგვის დრო, რაც ზიანის მომტანი შესაძლოა აღმოჩნდეს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ინფორმაციულ აქტივებისათვის.

სააგენტო განმარტავს, რომ ზემოაღნიშნული საქონლის შესყიდვასთან დაკავშირებული პროცედურების შეფერხების თავიდან აცილების მიზნით, მიზანშეწონილია, აღნიშნული შესყიდვა განხორციელდეს მაქსიმალურად შეზღუდულ ვადებში. შესაბამისად, სააგენტო მიიჩნევს, რომ სახეზეა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარებით შესყიდვის განხორციელების საჭიროება.

ამასთან, სააგენტო მოუწოდებს შემსყიდველ ორგანიზაციას, რომ მან სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა განუხრელი დაცვით, რათა უზრუნველყოფილ იქნას შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური და გამჭვირვალე ხარჯვა, კონკურენტული და არადისკრიმინაციული გარემოს შექმნით.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებით და დაადგინა:

1. დაკმაყოფილდეს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის SMP170003008 მომართვა და შემსყიდველ ორგანიზაციას მიეცეს თანხმობა, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით შესყიდვების დასადგენად მიმართოს საქართველოს მთავრობას.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.



თავმჯდომარე ლევან რაზმაძე

საქართველოს მთავრობის განკარგულება

№2685 2017 წლის 27 დეკემბერი ქ. თბილისი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, მიეცეს უფლება სახელმწიფო აუდიტის სამსახურს, მისი ინფორმაციული უსაფრთხოებისა და კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის ქსელური უსაფრთხოების მოწყობილობის (Firewall), უსაფრთხოების ინფორმაციისა და მოვლენების მართვის (SIEM) სისტემის სახელმწიფო შესყიდვები, 157 170 (ას ორმოცდაჩვიდმეტი ათას ას სამოცდაათი) ლარის ფარგლებში, განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი